ხელშეკრულება №100
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 9 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „გი-ან 2011“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გია კოპალეიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის 1-ლი პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA170004932 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ №SPA170004932 ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტი - **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიასა და სოფელ ქვიტირში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები.**

2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV 45233000);

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 532740 (ხუთასოცდათორმეტიათასშვიდასორმოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1. სამუშაოების შესრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2017 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი საყულია და სოფელი ქვიტირი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველი" და მის მიერ ზედამხედველობაზე უფლებამოსილი სამსახური;

5.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს კონტროლი/ინსპექტირება;

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს "შემსყიდველი", კონტროლის/ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პირობებით: პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის/ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველოფს თვით შემსყიდველი;

5.4. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე (შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს);

5.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია ფარული სამუშაოების დაწყებისა და დასრულების შემთხვევაში აცნობოს „შემსყიდველს".

6. დაზღვევა

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან ქვეკონტრაქტორის პერსონალი და სხვა).

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოების წარმოების პერიოდში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

7.2. შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისას, „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.

7.3. სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება „შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

7.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.5. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზ(ებ)ის მითითებით.

7.6. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს ამსახველი ფოტო მასალები (სამუშაოს დაწყებამდე, მიმდინარე და საბოლოო), ფარული სამუშაოების აქტები.

7.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და "შემსყიდველის" მოთხოვნების შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან, ხელშეკრულების პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში "შემსყიდველი" უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და „მიმწოდებლის" მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

7.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით.

7.9. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ბეტონის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. ანგარიშწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეებს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიმწოდებელთან ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

8.4. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი"-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის 2.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") სამუშაოების საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს" აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

8.5. „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე (ავანსი) მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"–ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლადაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. გარანტია

10.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

10.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.3. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

13. ქვეკონტრაქტორები

13.1. მიმწოდებელმა წერილობით ´უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

13.3. ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში - „შავი სია".

13.4. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით.

13.5. ქვეკონტრაქტზე წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქვეკონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
- ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ღირებულება;
- ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლები და შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი

მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1. *„შემსყიდველი" უფლებამოსილია:*

15.1.1. შესასრულებელი სამუშაოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია;

15.1.2. აწარმოოს ინსპექტირება სამუშაოების მიმდინარეობაზე საამისოდ შერჩეულ პირთან/ორგანოსთან ერთად, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების შესაბამისად;

15.1.3. შეაჩეროს მიმდინარე სამუშაოები დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში.

15.1.4. მიმწოდებლის მიერ 7.5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შესრულებულ სამუშაოში ან/და დოკუმენტაციაში ხარვეზის, ან/და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაო არ ჩაითვლება დასრულებულად, რის შესახებაც წერილობით ეცნობება მიმწოდებელს და მის მიმართ გატარდება ხელშეკრულების 16.2.2. პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

15.2. *„შემსყიდველი" ვალდებულია:*

15.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3. *„მიმწოდებელი" უფლებამოსილია* მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4. *„მიმწოდებელი" ვალდებულია:*

15.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15.4.2. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად და პროექტის შესაბამისად.

15.4.3. წარუდგინოს „შემსყიდველს" ან მის მიერ ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პირს/ორგანოს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესის და/ან მოთხოვნის შესაბამისად.

15.4.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

15.4.5. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15.4.6. სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებებისა და სინათლის ამრეკლი შუქნიშნების დაყენება.

15.4.7. მშენებლობის დროს აუცილებელად იხელმძღვანელოს СниП-ებით , შეასრულოს და დაიცვას და მათი მოთხოვნები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში.

15.4.8. მომუშავენი უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე ასრულებდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებს.

15.4.9. შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

15.4.10. უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა, ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

15.4.11. სამუშაოს დასრულების შემდეგ 10(ათი) დღის ვადაში თავისი ძალებითა და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა–დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

15.4.12. სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს – დანომრილფურცლიანი, ზონარგაყრილი, შემსყიდველი და შემსრულებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმებისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის, უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების დაცვის პროცედურებს, ამინდის მონაცემებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექზედამხედველი სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს. ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები;

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში "შემსყიდველის", "მიმწოდებელის" და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ინსპექტირების მიზნით შერჩეული პირის/ორგანოს მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი.

16.2. დაუძლეველი ძალის გარდა, "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის, ნაწილობრივ შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

16.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში "მიმწოდებელს" დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

16.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა ნაწილობრივ შესრულებისათვის "მიმწოდებელს" დაეკისრება ჯარიმა შესასრულებელი (დარჩენილი) სამუშაოს ღირებულების 10%-ის ოდენობით;

16.2.3. თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს შესასრულებელ სამუშაოთა დასრულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

16.2.4. თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების ფინანსურ-ხაზობრივი გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი სამუშაოს შესრულების ვადას, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%–ის ოდენობით;

16.2.5. ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.4 პუნქტის 15.4.11 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

16.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმის/პირგასამტეხლოს დაკისრებული თანხა შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და უზრუნველყოს დარღვეული პირობის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

16.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, "მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

16.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" თავისუფლდება ხელშეკრულების 16.2.4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

16.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან თუ „მიმწოდებელმა" თვითნებურად შეწყვიტა სამუშაოების შესრულება.

ბ) თუ „მიმწოდებელი" სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.2. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

17.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

18.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

18.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.
18.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.
18.4. მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებლის" მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

19. ფორს-მაჟორი

19.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
19.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
19.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
19.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
20.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. გამოყენებული სამართალი

21.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. შეტყობინება

23.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
23.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და დაბეგვრა

24.1. უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

24.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

25. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

25.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების მე-10 მუხლისა.

25.2. ხელშეკრულების მე-10 მუხლი მოქმედებს 10.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

26. სხვა პირობები

26.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

26.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

26.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

26.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

26.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა: №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:

შპს „გი-ან 2011"
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის 1ჩ. №15
ს/ს „ვითიბი ბანკი"
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა: №GE28VT0500000051693605
ს/კოდი: 412676322
ტელ: 579202020

მუნიციპალიტეტის გამგებელი
კონსტანტინე მამისეიშვილი
ბ. ა.

დირექტორი
გია კოპალეიშვილი
ბ. ა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	ნორმატივი	სამუშაოთა დასახელება	ერთ.	ნორმატიული რესურსი		მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		ფასი I. მოსამზადებელი სამუშაოები										
1	27-8-2	არსებული გზის დაზიანებული პროფილის აღდგენა 1350X6მ	1000მ²		8.100							3100.04
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	32.10	260.01		0.00	5.00	1300.05		0.00	1300.05
		ავტოგადამტანი საშუალო ტონის 79,3კმ	მ/სთ	3.88	31.428		0.00		0.00	35.00	1099.98	1099.98
		ხიბლეგენი 5ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	6.16	49.90		0.00		0.00	0.05	2.49	2.49
		ხიბლეგენი 10ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	4.53	36.6930		0.00		0.00	0.05	1.83	1.83
		პნევმოსანი	მ/სთ	0.71	5.751		0.00		0.00	0.05	0.29	0.29
		ქვიშა-ხრეშოვანი (ბალასტი)	მ³	66.00	534.60	0.50	267.30		0.00		0.00	267.30
		მანქანები ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირებისათვის 14,5კმ-ზე	ტ		855.36		0.00		0.00	0.50	427.68	427.68
		სხვა მანქანები	ლარი	1.02	8.262		0.00		0.00	0.05	0.41	0.41
		ჯამი I										3100.04
		ფასი IV. გზის სამოსი										
1	27-11-1	გზის მოწყობა ღორღით 0-40 მმ სიხქით 10 სმ 1350X5მ	1000მ²		6.7500							2462.40
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	33.00	222.75		0.00	5.00	1113.75		0.00	1113.75
		ავტოგადამტანი საშუალო ტონის 79,3კმ	მ/სთ	0.42	2.8350		0.00		0.00	35.00	99.23	99.23
		ღორღი 0-40 მმ	მ³	141.00	951.75	0.50	475.88		0.00		0.00	475.88
		მანქანები ღორღის ტრანსპორტირებისათვის 14,5კმ-ზე	ტ		1,522.80		0.00		0.00	0.50	761.40	761.40
		ხიბლეგენი 5ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	11.20	75.60		0.00		0.00	0.05	3.78	3.78
		ხიბლეგენი 10ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	24.8	167.40		0.00		0.00	0.05	8.37	8.37
2		ხავანი ნაწილის მოწყობა ბეტონით სიხქით 16სმ 1350X5მ	1000მ²		6.7500							237733.24
	27-23-9	შრომითი რესურსები	კაც/სთ	110.000	742.50		0.00	5.00	3712.50		0.00	3712.50
		გამბრეოგადამტანი	მ/სთ	18.3	123.5250		0.00		0.00	0.05	6.18	6.18
		სხვა მანქანები	ლარი	3.88	26.1900		0.00		0.00	0.05	1.31	1.31
		ბეტონი B-350 B-25	კუბ.მ.	163.000	1100.250	90.00	99022.50		0.00		0.00	99022.50
		სხვა ხარჯები	ლარი	0.460	3.105	0.05	0.16		0.00		0.00	0.16
		მანქანები ბეტონის ტრანსპორტირებისათვის	ტ		2,640.60		0.00		0.00	51.00	134670.60	134670.60
	გამოსანგარიშებელი	ხეტანალი	მ³		3.20	100.00	320.00		0.00		0.00	320.00

3		გვერდულების მოწყობა ღორღით 0-70მმ გასაშუალებული სისქით 20სმ სიგანით 0,5მ	100მ²		1.3500							2548.31
	27-51-5-6	შრომითი რესურსები	კაც/სთ	302.00	407.70		0.00	5.00	2038.50		0.00	2038.50
	ხაბაზრო	ღორღი 0-70 მმ	მ³	286.80	387.1800	0.50	193.59		0.00		0.00	193.59
		მანქანები ღორღის ტრანსპორტირებისათვის	ტ		619.49		0.00		0.00	0.50	309.74	309.74
		სატკეპნი 5ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	28.00	37.80		0.00		0.00	0.05	1.89	1.89
		სატკეპნი 10ტ თვითმავალი გლუვი	მ/სთ	68	91.80		0.00		0.00	0.05	4.59	4.59
4		ბეტონის საფარის განივი (ყოველ 6მ) გაჭრა ტემპერატურული ნაკერების მოსაწყობად	100მ		11.2500							1533.45
	27-28-1	შრომითი რესურსები	კაც/სთ	7.700	86.63		0.00	5.00	433.13		0.00	433.13
		ბეტონის გამჭრელი	მ/სთ	19.4	218.2500		0.00		0.00	5.00	1091.25	1091.25
		ბიტუმის ემულსია	ტ	0.060	0.68	0.05	0.03		0.00		0.00	0.03
	ხაბაზრო	ქვიშა შავი	მ³	1.000	11.2500	0.05	0.56		0.00		0.00	0.56
		მანქანები ქვიშის ტრანსპორტირებისათვის	ტ		16.88		0.00		0.00	0.50	8.44	8.44
		ბიტუმის მასტიკა	ტ	0.070	0.788	0.05	0.04		0.00		0.00	0.04
		ჯამი IV										244277.40
		სულ თაავების ჯამი										247377.44
		ზედნადები ხარჯები %	10%									24737.74
		ჯამი										272115.19
		გეგმიური მოგება %	8%									21769.22
		ჯამი										293884.40
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									8816.53
		ჯამი										302700.93
		დღგ	18%									54486.17
		ჯამი										357187.10

შ.პ.ს. „გი-ან-ბი 2011"-ს დირექტორი:

გ. კოპალეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში №1 ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზო-მილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სავალ ნაწილზე არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი საფარის აღება მექანიზმით საშ. სისქით 15 სმ მისი ა/თვითმცლელზე დატვირთვით	მ³	283.00		0.00	0.50	141.50	1.50	424.50	566.00
2	მექანიზმით მიუდგომელ ადგილებში იგივეს დამუშავება ხელით ა/თვითმცლელზე დატვირთვით	მ³	32.00		0.00	0.50	16.00		0.00	16.00
3	დატვირთული მასის გატანა საშ. 10კმ-ზე	ტ	567.00		0.00		0.00	2.50	1417.50	1417.50
4	მოჭრილი ზედაპირის მოშანდაკება ა/გრეიდერით	მ²	2100.00		0.00	0.25	525.00	0.25	525.00	1050.00
5	საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10სმ კ-1.22	მ³	256.20	0.50	128.10	0.05	12.81	0.50	128.10	269.01
6	საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით საშ. სისქით 6სმ. კ-1.26	მ³	158.80	0.50	79.40	0.05	7.94	0.50	79.40	166.74

7	სავალი ნაწილის საფარის მოწყობა მონოლითური ბეტონით მ-300 სისქით 16სმ ტემპერატურული ნაკერის მოწყობით და ბიტუმის შევსებით ყოველ 6 მეტრში	$მ^2$	2100.00		0.00	6.35	13335.00	3.60	7560.00	20895.00
	ბეტონის მ-300 ფასი კ-1.02	$მ^3$	342.70	90.00	30843.00		0.00		0.00	30843.00
	ბიტუმი 2100*0.5	ტ	1.05	14.47	15.19		0.00		0.00	15.19
	ბეტონის პლასტიფიკატორები (ყინვაგამძლე)	კგ	342.70	0.15	51.41		0.00		0.00	51.41
8	გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით-10სმ სიგანე 05მ*2	$მ^3$	63.60	0.50	31.80	0.05	3.18	0.50	31.80	66.78
	ჯამი									55356.63
	ზედნადები ხარჯები	10%								5535.66
	ჯამი									60892.29
	გეგმიური დაგროვება	8%								4871.38
	ჯამი									65763.67
	გაუთვალიწინებელი ხარჯები	3%								1972.91
	ჯამი									67736.58
	დღგ	18%								12192.59
	მთლიანი ჯამი									79929.17

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი:
გ. კოპალეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპლიტეტის სოფელ ქვიტირში №2 ბეტონის საფარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სავალ ნაწილზე არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი საფარის აღება მექანიზმით საშ. სისქით 15 სმ მისი ა/თვითმცლელზე დატვირთვით	მ³	339.00		0.00	0.50	169.50	1.50	508.50	678.00
2	მექანიზმით მიუდგომელ ადგილებში იგივეს დამუშავება ხელით ა/თვითმცლელზე დატვირთვით	მ³	38.00		0.00	0.50	19.00		0.00	19.00
3	დატვირთული მასის გატანა საშ. 10კმ-ზე	.ტ	679.00		0.00		0.00	2.50	1697.50	1697.50
4	მოჭრილი ზედაპირის მოშანდაკება ა/გრეიდერით	მ²	2512.00		0.00	0.25	628.00	0.25	628.00	1256.00
5	საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10სმ კ-1.22	მ³	306.50	0.50	153.25	0.05	15.33	0.50	153.25	321.83
6	საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით საშ. სისქით 6სმ. კ-1.26	მ³	189.90	0.50	94.95	0.05	9.50	0.50	94.95	199.40
7	სავალი ნაწილის საფარის მოწყობა მონოლითური ბეტონით მ-300 სისქით 16სმ ტემპერატურული ნაკერის მოწყობით და ბიტუმის შევსებით ყოველ 6 მეტრში	მ²	2512.00		0.00	6.35	15951.20	3.60	9043.20	24994.40

	ბეტონის მ-300 ფასი კ1.02	მ³	410.00	90.00	36900.00		0.00		0.00	36900.00
	ბიტუმი 2512*0.5	ტ	1.26	14.47	18.17		0.00		0.00	18.17
	ბეტონის პლასტიფიკატორები (ყინვაგამძლე)	კგ	410.00	0.15	61.50		0.00		0.00	61.50
8	გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით-10სმ სიგანე 0.5მ*2 კ-1.22	მ³	76.60	0.50	38.30	0.05	3.83	0.50	38.30	80.43
	ჯამი									66226.22
	ზედნადები ხარჯები	10%								6622.62
	ჯამი									72848.85
	გეგმიური დაგროვება	8%								5827.91
	ჯამი									78676.75
	გაუთვალიწინებელი ხარჯები	3%								2360.30
	ჯამი									81037.06
	დღგ	18%								14586.67
	მთლიანი ჯამი									95623.73

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი:

გ. კობალეიშვილი

სოფელ ქვიტირში (#1 და #2) გზების, სოფელ საყელიაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოების გეგმა გრაფიკი

| № | სამუშაოების დასახელება | გაზომ. | რაოდ. | ღირებულება 522 749 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 | 74 | 75 | 76 | 77 | 78 | 79 | 80 |
|---|---|---

08.06.17 №

ხელშეკრულების შესრულების
საგარანტიო უზრუნველყოფა
№BGMP0654/080617

გარანტი:	**სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ს/კ 202906427**
პრინციპალი:	**შპს „გი-ან 2011”, ს/კ 412676322**
ბენეფიციარი:	**წყალტუბოს მუნიციპალიტეტი**
საგარანტიო თანხა:	**26,637.00 (ოცდაექვსი ათას ექვსასოცდაჩვიდმეტი) ლარი**

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიასა და სოფელ ქვიტირში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარების თაობაზე (ელ. ტენდერის №SPA170004932), რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობების შესრულების გარანტიის წარმოდგენას, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 26,637.00 (ოცდაექვსი ათას ექვსასოცდაჩვიდმეტი) ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულებას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თქვენი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სათავო ოფისი, გ.ჭანტურიას ქ. №14, თბილისი, 0114, საქართველო, თბილისის დროით 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის უფროსი
ლია ძნელაძე

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge